09.06.2014

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2014 წლის I კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2014 წლის I კვარტალში 260 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებს 15 პროცენტით, ხოლო IV კვარტალის წინასწარ მონაცემებს 20 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2011-2014 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2014* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2014 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2014 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 398 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2014* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*				2014*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**	**260**
მათ შორის:													
შემომავალი ნაკადები	315	334	437	509	358	312	345	414	326	480	551	465	398
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-106	-86	-121	-166	-97	-95	-146	-180	-100	-247	-312	-248	-138

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2014 წლის I კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*				2014*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**	**260**
მათ შორის:													
ნიდერლანდები	39	21	108	74	-99	69	34	32	35	65	32	48	73
აზერბაიჯანი	20	29	43	46	15	26	-5	23	38	22	-37	72	47
გაერთიანებული სამეფო	39	5	6	5	24	14	16	40	18	-22	29	22	35
თურქეთი	16	22	28	10	6	16	40	19	-1	38	31	6	30
რუსეთი	21	12	8	14	5	1	11	4	1	-3	-13	14	20
საუდების არაბეთი	-	-	-	2	9	-1	2	29	5	-7	0	-5	18
აშშ	-26	52	-25	28	13	-2	18	-9	8	19	35	-6	18
ლუქსემბურგი	2	2	9	30	26	6	2	8	1	121	6	16	11
დანარჩენი ქვეყნები	97	106	140	135	261	90	82	87	121	0	155	50	8

*წინასწარი მონაცემები.

2014 წლის I კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 28 პროცენტით, მეორეზე აზერბაიჯანი – 18 პროცენტით, ხოლო მესამეზე გაერთიანებული სამეფო – 13 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2014* წლის I კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2014 წლის I კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2014* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012				2013*				2014*
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
სულ	**210**	**248**	**317**	**343**	**261**	**218**	**199**	**234**	**226**	**232**	**239**	**217**	**260**
მათ შორის:													
საფინანსო სექტორი	38	27	48	56	66	16	49	33	65	13	48	44	89
დამამუშავებელი მრეწველობა	48	24	18	30	71	34	20	43	11	59	17	36	46
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	1	61	29	37	-8	48	22	11	12	46	47	33	44
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20	-7	12	15	8	-14	10	1	13	10	11	2	15
უძრავი ქონება	9	57	49	109	16	14	0	24	0	12	13	2	13
მშენებლობა	20	23	5	1	1	4	9	28	-1	39	21	-5	6
ენერგეტიკა	38	-7	82	91	30	59	45	45	42	66	33	56	5
დანარჩენი სექტორები	35	72	74	5	79	58	45	48	84	-12	49	48	43

*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2014 წლის I კვარტალში 84 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 89 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობა 46 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 44 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014 წლის I კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014* წლის I კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2013 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2014 წლის 15 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32) 36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.ge info@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge